

კულტურული და იდეოლოგიური ელემენტების თარგმნის
თავისებურებები ჰარპერ ლის რომანის “ნუ მოკლავ ჯაფარას” და მისი
ქართული თარგმანის მიხედვით

გვანცა გაბინაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ტატიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა გაბიცინაშვილი, 20.06.2024

აბსტრაქტი

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურის ცნება ბევრი დისციპლინისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ის ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისთვის დამახასიათებელ გარემოსთან, შეხედულებებთან და იდეოლოგიასთან მჭიდრო კავშირშია, რიგ შემთხვევებში მხატვრულ-ლიტერატურულ ნაწარმოებებში არსებული კულტურული ფონის თარგმნა, მისი სამიზნე ენაში გადმოტანა და უცხო კულტურასთან ადაპტირება გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება. აღნიშნული საკითხის აქტუალურობას ერთი მხრივ, კულტურულ ელემენტებთან დაკავშირებული მთარგმნელობითი სტრატეგიების სიმრავლე, მეორე მხრივ კი, ეკვივალენტობის პრობლემის არსებობა განაპირობებს. წინამდებარე ნაშრომის საკვლევ საკითხს ჰარპერ ლის რომანში *“ნუ მოკლავ ჯაფარას”* არსებული კულტურის ელემენტების (*იდიომები, დიალექტები, სლენგები, რეგიონალური გამონათქვამები, დასახელებები, ალუზიები*) აღმოჩენა, მათი გაანალიზება და მათ თარგმნასთან დაკავშირებული თავისებურებების განხილვა წარმოადგენს. ნაშრომი, ასევე, ნაწარმოების ქართულ თარგმანზე შესაძლო იდეოლოგიურ გავლენას, კულტურულ-იდეოლოგიურ ურთიერთმიმართებასა და ქართულ თარგმანში მისი გამოხატვის გზებს იკვლევს. როგორც ვიცით, იდეოლოგიური შეხედულებები მთარგმნელობით საქმიანობაში შესაძლოა სხვადასხვა სახით გამოვლინდეს. რომანის პირველი ქართული თარგმანი კი საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნდა. კულტურულ ელემენტებთან ერთად ნაშრომში ასევე ნაწარმოების ქართულ თარგმანზე შესაძლო იდეოლოგიური ზეგავლენაა განხილული და მის ფონზე, რომანის ძველ (1985-1986) და ახალ (2015) გამოცემებს შორის არსებული განსხვავებებია წარმოჩენილი. წინამდებარე ნაშრომი თვისებრივ კვლევას ემყარება, სადაც ინგლისურენოვან რომანსა *“ნუ მოკლავ ჯაფარას”* და მის ქართულ თარგმანში არსებული კულტურული და იდეოლოგიური პასაჟების შედარებითი ანალიზი არის წარმოდგენილი. აღნიშნულ ნაშრომში ჩატარებულ კვლევაში, რომელიც თეორიულ მასალასა და შედარებით ანალიზს ეფუძნება, დადგინდა,

რომ რომანის “*ნუ მოკლავ ჯაფარას*” ქართულ თარგმანში მთარგმნელი კულტურის ელემენტების თარგმნისას უპირატესობას გაშინაურების სტრატეგიას ანიჭებს, რაც თავის მხრივ, გარკვეულწილად ქართულ მთარგმნელობით პროცესებზე საბჭოთა იდეოლოგიური ზეგავლენის არსებობასაც უსვამს ხაზს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ჰარპერ ლი, *ნუ მოკლავ ჯაფარას*, კულტურის ელემენტები, მთარგმნელობითი სტრატეგიები, თარგმანის იდეოლოგია, საბჭოთა ცენზურა.

Translating Culture and Ideology: Harper Lee's "To Kill a Mockingbird" and Its Georgian Translation

Abstract

As the concept of culture plays a vital role in many disciplines and is closely associated with identity issues as well as ideological patterns specific to a particular community, translating culture-specific elements found in fiction and adapting them to the target culture always involves various challenges. Approaches to translating cultural elements have been examined from different perspectives in various translation theories across different theoretical paradigms. When translating cultural elements found in fiction, the problem of equivalence remains to be one of the most common challenges. The paper examines cultural elements (*Idioms, dialects, slangs, regional expressions, names and allusions*) in Harper Lee's novel "To Kill a Mockingbird" and discusses the strategies applied by the translator. It also attempts to identify possible ideological influences in the Georgian translation and trace the interrelationship between culture and ideology. As it is known, ideological positions often influence translation practice, and the first Georgian translation of the novel was published during the soviet period. While discussing culture-specific elements, the paper examines the possible ideological influence on the Georgian translation and compares the first Georgian translation of the novel (1985-86) with the subsequent revised version (2015). The research is based on the qualitative analysis where I compare cultural and ideological elements in the novel with its Georgian translation. Finally, based on the data gathered throughout the research, it can be argued that the Georgian translator prefers to choose the domestication strategy while translating culture-specific elements into the Georgian language, which can be explained by the influence of soviet ideology on the Georgian translation practice.

Key words: Harper Lee, To Kill a Mockingbird, culture-specific elements, translation strategies, the ideology of translation, Soviet censorship.